



Յոյսն ուղեւորն է

Tiny Stories

Տարբերակային

tiny stories

ორგანიზაციის 70 წლისთავის აღსანიშნავად გაეროს ბავშვთა ფონდმა მოუწოდა მწერლებს მთელი მსოფლიოდან ბავშვთა უფლებებზე ყურადღების გამახვილების მიზნით ჩართულიყვნენ ლიტერატურულ კამპანიაში „პატარა ისტორიები“. ავტორებს სთხოვეს დაენერათ პატარა ისტორია თემაზე „რას ვისურვებდი თითოეული ბავშვისათვის“ და გამოექვეყნებინათ აღნიშნული ისტორია თავიანთ ფეისბუქ გვერდზე. საქართველოდან ლიტერატურულ კამპანიაში 20 მწერალი ჩაერთო. გაეროს ბავშვთა ფონდი მაღლობას უხდის საქართველოს მწერალთა სახლსა და კამპანიის მონაწილე ყველა მწერალს, პაატა შამუგიას, ირაკლი კაკაბაძეს, დავით გაბუნias, ლელა სამნიაშვილს, შოთა იათაშვილს, ნესტან კვინიკაძეს, მაკა ლდოკონენს, გაგა ნახუცრიშვილს, სალომე მაკარიძეს, ლელა ცუცქერიძეს, გიორგი ლობჯანიძეს, ვასილ გულეურს, დიანა ანფიმიადის, ჯიმშერ რეხვიაშვილს, ზაზა კოშკაძეს, მარიამ წიკლაურს, გიორგი კეკელიძეს, ლია ლიქოკელს, ნინო სადღობელაშვილს, ნატო ონგოროყვას, თანამშრომლობისა და საინტერესო და ემოციური ისტორიების გაზიარებისთვის.

Within the framework of the 70th anniversary, UNICEF invited writers from all over the world to advocate for children's rights by participating in the 'Tiny Stories' campaign. Authors were requested to write a tiny story under the theme 'What I want for every child' and share the story on their Facebook pages. 20 Georgian writers participated into the campaign with their Tiny Stories. UNICEF thanks the Writers' House of Georgia and all the authors involved into the campaign, Paata Shamugia, Irakli Kakabadze, David Gabunia, Lela Samniashvili, Shota Iatashvili, Nestan Kvinikadze, Maka Ldokoneni, Gaga Nakhutsrishvili, Salome Makaridze, Lela Tsutskiridze, Giorgi Lobzhanidze, Vasil Guleuri, Diana Anfimiadi, Jimsher Rekhviashvili, Zaza Koshkadze, Mariam Tsiklauri, Giorgi Kekelidze, Lia Likokeli, Nino Sadgobelashvili, Nato Ingorokva for partnership and for sharing their emotional and powerful stories.



* * *



– მთვარეს ხელით შეეხები?

– ვერა.

– მე შევეხები!..

– შენც ვერ შეეხები. ძააააან შორსაა.

– გურჯაანზე შორსაა?

– გურჯაანზე შორსაა.

– დიდი რომ გავიზრდები, მაღალი ვიქნები და ადვილად მივწვდები.

– აი, როგორ აგიხსნა... საკუთარ იდაყვზე კოცნა როგორც ვერ ხერხდება, ისეა ეგეც. უფრო რთულადაც კი.

– მე შემოძლია საკუთარ იდაყვზე კოცნა. აი...

– ჰოო... მაგრამ მაინც ვერ იზამ, ვერ შეეხები. და ეგ სად ისწავლე? იდაყვზე კოცნა...

– არ მისწავლია, სულ ვიცოდი.

– ყოჩაღ. მაგრამ მთვარეს მაინც ვერ შეეხები.

– აი, ნახავ, გავიზრდები და შევეხები.

ამ დიალოგში ერთი სიტყვაც არაა გამოგონილი. ეს ჩემი მეგობრის და მისი პატარა შვილის საუბრის ფრაგმენტია. ბავშვებს ვუსურვებ, მისდიონ თავიანთ წარმოსახვებს – ეგ ყველაზე საიმედო მეგზურია.

ჰადარა ჰაძეგია



* * *

- Can you touch the moon with your hand?
- No.
- I can!...
- No, you cannot either. It is toooo far.
- Farther than Gurjaani?
- Farther than Gurjaani.
- When I grow up I will be tall and reach it easily.
- How can I explain this ... You cannot kiss your own elbow and this is the same, even more difficult.
- I can kiss my own elbow. Look...
- Yes... but you will still not be able to touch the moon. Where did you learn that? I mean kissing your own elbow...
- I did not learn it, I have always known how to do it.
- Good boy! But you will still not be able to touch the moon.
- You will see, I will grow up and touch the moon.



Every single word of this dialogue was really said. This is a fragment of a conversation between my friend and his little son. I would like to wish children to follow their imagination – this is the most reliable guide in life.

Paata Shamngia

ინდიჩე

მე ინდიჩა მქვია,
დედაჩემის სახელი.

იმას ბებიჩემმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის სახელი
დაარქვა, ისეთივე დიდი და სახელოვანი უნდოდა ჰყოლოდა.
დედაჩემი დაბადებისთანავე დამემშვიდობა.
იმ კაცმა მანამდე მიატოვა დედაჩემი, სანამ მე
გავჩნდებოდი.

ბებია მყავდა, მაგრამ ისიც დედაჩემთან წავიდა.
მთელს სოფელს ესმოდა ბებიჩემის ხმა,
ინდირიეეეეეეე, გეყოფა თამაში, მოდი, პური ჭამეო!
ექოებს გადაჰქონდათ მთებიდან მთებზე, ტყიდან
ტყეზე, ყანიდან ყანაზე, კორდიდან კორდზე ჩემი სახელი,
ინდირიეეეეეეე!

ბოლოს მითხრა, შენი დარდი არ მომასვენებს, კუბოს
ფიცარს ამოვამტვრევ, მიწიდანაც ამოვძვრებო.

ხუთი წელია აქ ვარ, სამტრედიის ბავშვთა სახლში.

აქ დეჰემას მეძახიან მასწავლებლები, რადგან ყოველდღე
წერილებს ვწერ.

წერილებს ვწერ და ქარს ვატან, იქნებ ვინმემ იპოვოს,
ნაიკითხოს და მომძებნოს.

სულ იმის მოლოდინში ვარ, რომ ვილაც ისევ დამიძახებს.
დამიძახებს და წამიყვანს.

ინდირიეეეეეეე!

ირაკლი კაცაბაძე



Indie

I am Indira.

It's my mother's name.

Her mother named her after the Indian Prime Minister because she wanted her daughter to be important and famous like her.

My mother bid me goodbye at my very birth.

That man left my mother even before my birth.

I had a grandmother but she also joined my mother.

Everyone in the village would hear my grandmother calling:

Indiee, enough with the play! Come and have a meal!

And my name would be echoed from mountain to mountain, from woods to woods, from fields to fields, from meadows to meadows...

Indiee!!!

When she was reaching her end she told me that worries over me would never let her relax and that she would break out of the coffin and even dig her way out of the earth.

I have been here, in the Samtredia children's home, for five years.

The teachers here call me Telegram because I write letters every day. I write letters and send them with the wind. Maybe someone finds and reads them and comes for me.

I'm looking forward to someone calling me again.

Will call my name and take me.

Indiee!!!



Irakli Kalkabadzze



რას ნიშნავს მაინც აკვიატება! დიკენსის “დევიდ კოპერფილდი” ყდაშემოხეული მქონდა ბავშვობაში (მრავალჯერ წაკითხვისგან), სულ ზეპირად ვიცოდი, სულ მეტირებოდა და მაინც თავიდან ვკითხულობდი. გავიდა რამდენიმე წელი, კაი დიდი ვიყავი უკვე და ერთი ჩემი უმცროსი მეგობარი, რომელიც მაშინ შეუდგა წიგნის კითხვას, მიზიარებს აღფრთოვანებას, როგორ მოსწონს კლარა პეგოტი. გავშრი. გამაცია. მთელი ამდენი წელი, ამდენჯერ წაკითხულ წიგნში ვერ შევამჩნიე, რომ თურმე ამ გვარს არასწორად ვკითხულობდი... “პეტოგი”. მახსოვს, როგორ შემრცხვა, გავნითლდი. ჩემი მეგობარი ვერ მიხვდა, რა დამემართა, არადა, მე სამყარო დამენგრა თავზე, მთელი ბავშვობა ტყუილში მიცხოვრია. ახლა, როცა ვინმე დიკენსზე ჩამოაგდებს სიტყვას, მე ისევე პეგოტი-პეტოგი მახსენდება და მეცინება, მაგრამ თან მრცხვენია. ეს წიგნი არასოდეს არ დამანებებს თავს, ძალიანაც რომ მინდოდეს. ან რატომ უნდა მინდოდეს, კარგი წიგნია. რომ დავბერდები, ხელახლა წავიკითხავ, ოღონდ, ამჯერად იმ პატიოსანი ქალის გვარი არ შემემლება. ჰოდა, ყველა ბავშვს - რაც შეიძლება მეტი შეცდომა.



დაკია გაბუნია



* * *

How powerful an obsession is! In childhood, I read Charles Dickens' David Copperfield so many times that the book's cover was all torn; I knew the book by heart, it made me cry every time but I still read it again and again. Several years passed. I was quite grown up when one of my young friends, who had just started reading the book, shared his raptures over Clara Peggotty. I felt very uncomfortable and embarrassed, realizing that despite reading this book so many times, I had not noticed that I had been incorrectly pronouncing this surname as "Pettoggy." I remember that I was very ashamed and I blushed. My friend could not understand what was going on with me while I felt as if the whole universe had fallen on my head and that I had spent my whole childhood living a lie. Now, when someone starts talking to me about Dickens, this Peggotty – Pettoggy always surfaces in my memory and makes me laugh but I also feel ashamed at the same time. This book will never leave me alone even if I want it to. And why should I want this? The book is really good. I will read it again in my old age but then I will pronounce the name of this honest woman correctly. I would like to advise all children – make as many mistakes as possible.



David Gabrunia



* * *

საკლასო ოთახის კედელი გაახსენდა. სხვადასხვა ფორმის წვერებიანი, სერიოზული კაცები გადმოყურებდნენ. მასწავლებლები ამბობდნენ, რომ მთელი ქვეყანა ამ კაცების მხრებზე იდგა. მერე ქვეყანა აირია და ის პორტრეტები იგივე მასწავლებლებმა ჩამოხსნეს. გოგონა აღარ იყო დარწმუნებული, რომ მასწავლებლებს ყველაფრის სჯეროდათ, რასაც ამბობდნენ. სჯობს კედელი ბავშვების ნახატებისთვის დატოვონ, - გაიფიქრა. ბავშვებს სჯერათ იმისი, რასაც ხატავენ.

ლელა სამსიაშვილი





She remembered the classroom wall. Serious men with various forms of beards stared at them. The teachers said that the entire world rested on the shoulders of these men, Then a tumult broke out and these very teachers removed these portraits from the wall. The girl was no longer sure that the teachers believed in all they said. Better leave the walls for children's paintings, she thought. Children believe in what they paint.



Lela Samniashvili





დილის 8 საათზე ერთი ბავშვის მალვიდარამ გამაღვიდა, რეკავდა და ჩემს სიზმრებს ფლეთდა, ბავშვს კი ეძინა ღრმად და ტკბილად.

სკოლაში ნასვლის დროა, გავძახე ძილ-ბურანიდან და ჩავთვლიმე.

ათ წუთში მეორე მალვიდარამ გამაღვიდა და ისევე გავძახე, ოღონდ ახლა მეორეს, და კვლავ ჩავთვლიმე, უფრო სწორად, შევიბრუნე ძილი.

არ დადიან სკოლაში, და დავდივართ ჩვენ, მშობლები, დირექტორიდან დირექტორთან, შევთანხმებთ რაღაცებს, ბავშვებიც მოგვეყვებიან ხანდახან, გადავიყვანთ ერთი სკოლიდან მეორეში, მეორედან - მესამეში, და აი, იმედიც ჩნდება, ვფიქრობთ, შეეგუებიან აქაურობას, ხანდახან მაინც შეივლიან ამ ათვალწუნებულ დანესებულებაში, ძალიან ადრე რომ იწყებს მუშაობას (10-ზე, 11-ზე, 12-ზე რატომ არ შეიძლება დაიწყოს? არა, ბოლომდე უნდა გაანვალონ, გამოანართონ ბავშვები), ჰოდა, აი, ადგენენ ყველანი, მოწესრიგდნენ და „ჭერი-ჭერიო“ და გაუყვნენ სკოლისკენ გზას.





რამდენი ვეხვეწე თითოეულს, ხან ვეჩხუბე, ხან დავუჩოქე, ერთხელ ვიტირე კიდეც, და მიხარია, იმოქმედა მაინც რალაცამ, წავიდნენ როგორც იქნა სკოლაში...

მიხარია, საოცრად მიხარია, გამელვიძა, ავდექი, ტუალეტში გავედი, გამოვბრუნდი და დავინახე, რომ ერთს ძინავს ისევ, მეორე კვერცხს იწვავს და „რეიდოჰედს“ ლილინებს, მესამე „სოფის სამყაროს“ კითხულობს, მეოთხე „გრეის ანატომიას“ უყურებს, გაკვეთილები კი მთავრდება უკვე...

მივხვდი, კარგი სიზმრები აქვთ მშობლებს, ან უნდათ, ძალიან კარგი სიზმრები ჰქონდეთ, მაგრამ სხვანაირად ცხოვრობენ და იცხოვრებენ ბავშვები, არ გამოსდით მშობლების კარგ, წესიერ, პატიოსან სიზმრებში ცხოვრება.



შოთა იაბაშვილი



* * *

At 8 o'clock in the morning I was woken up by the alarm clock of one of the kids. It was ringing and disturbing my dreams while the child was deeply and peacefully asleep.

“It’s time to go to school” – I called out, half sleeping and dozed off. In ten minutes a second alarm clock woke me up and again I called out, this time addressing the second child. Then I returned to my dreams.

The children do not go to school and it is us parents who have to go there to talk to the principal. We agree on certain things and sometimes the children do what needs to be done. We had to transfer them from one school to another and then a third one. At that moment there was certain hope that they would get accustomed to the new school and at least from time to time go to that hateful institution which starts very early in the morning (why can't they start classes at 10, 11 or 12? But no, they have to torture us and our kids). So finally the children woke up, washed, dressed and went to school.

I had to beg them, scold them, ask them on my knees and even cry once to make them go to school and I was glad that it worked – they finally went to school...



I was happy, very happy. Later I woke up, went to the bathroom, returned and saw that one kid was still asleep, the second was cooking scrambled eggs and singing Radiohead, the third was reading Sophie's World and the fourth was watching Gray's Anatomy while the classes were almost over...

I realize now that parents have good dreams or want to have very good dreams but children live and will live in a different way. It does not work for the parents to live in good, proper and honest dreams.



Shota Iatashvili



* * *

ერთ წიგნში ამოკითხული ეს წინადადება მეხსიერებიდან ვერ ამოვშალე: მეორე მსოფლიო ომის დროს, დასახვრეტა რიგში მდგარმა დედამ, რომელსაც ქმარი და სამი შვილი ახლდა, გერმანელ ჯარისკაცს სთხოვა, - გემუდარებით, ბავშვებს ისე ესროლეთ, რომ იმ წამსვე მოკვდნენ. არ იტანჯონო...

დედა, შვილებისთვის საუკეთესოს ირჩევდა.

მთავარი მაინც ისაა, რომ ბავშვებს არ კლავდნენ. ბავშვები არ კვდებოდნენ. სხვა დანარჩენს ვისწავლით, თავს ძალას დავატანთ და გვეცოდინება: შენიშვნის მიცემის დროს, უფროსი უნდა დაიკუზოს ბავშვის სიმაღლეზე და ამის შემდეგ მიმართოს მას; ხშირად შევაქოთ ბავშვები და განათლების მიღების საშუალება მივცეთ მათ; ყურადღებით წავიკითხოთ წამლის ანოტაციები; ვისწავლოთ და ვასწავლოთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფლება და სიყვარულია.



ნესტან ჯინიყაძე



* * *

I cannot forget one sentence I read in a book: "During World War II, a mother standing together with her husband and three children in a group of people waiting to be executed by a firing squad asked German soldiers to shoot her children so that they would die immediately, without suffering..."

The mother wanted the best for her children.

The main thing still is that the children were not killed and the children did not die. We will learn everything else, make an effort and learn. While admonishing a child, an adult must first of all bend down to the child's level and only after this make the remarks; we need to praise children frequently and give them the opportunity to receive an education. We must carefully read instructions found on different medicines. We need to learn and teach that freedom and love are the most important things in life.



Nestan Krinikadze



* * *

მინდა, გულით მღეროდნენ ბავშვები!

დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი - ნოტი შვიდია, სიმღერა უთვალავი, დედამინაზე კი 1,9 მილიარდი ბავშვი ცხოვრობს.

ბავშვები ყოველთვის მშვენივრად იგებენ და სიამოვნებით ისმენენ სიმღერას: დედის სხეულში შეკედლებულები, მშობლის მკლავზე მიძინებულები, ბებია-ბაბუების, ძიძა-დეიდების, ნათლიებისა თუ მასწავლებლების ნამღერს.

ბავშვობაში მგზავრობას ვერ ვიტანდი და დედამ მიჩრჩია, გულში თუ ილიღინებ, უკეთ გახდებო. დღემდე, ნებისმიერ გზაზე ამართლებს - მთავარია, მჯეროდეს.

ბავშვური გულწრფელობა რომ შემომაკლდება, სკვერებში მოთამაშე ან ხატავით გართულ პატარებს, ქუჩებსა თუ ტრანსპორტში ყურსასმენებიან გოგო-ბიჭებს ვაკვირდები. მათ თვალებიდან ეღვრებათ მუსიკა, მიახლოების გარეშეც მშვენივრად ისმის სათითაო ნოტი - ყველას რომ სწვდება და ტკივილს, მარტოობას, უხასიათობას, ობლობას, შიმშილსა თუ ძალადობას ამარცხებს.

მინდა, გულით მღეროდნენ ბავშვები - გულით ნამღერი აუცილებლად იპოვის ადრესატს.



მაცა ლეოტონენი



I would like children to sing wholeheartedly!

Do, Re, Mi, Fa, So, La, Ti – there are seven notes, a countless number of songs and 1.9 billion children in the world.

Children always properly understand and listen to songs: when they are inside their mother's body, sleeping on a parent's arm or listening to the songs of their grandmothers, grandfathers, babysitters, aunts, godfathers or teachers.

In childhood I used to be carsick and my mother gave me this advice: "You will feel better if you sing in your mind." It works even today, on any kind of road – the main thing is to believe.

When I lack a childlike honesty, I watch children playing in parks or drawing, or boys and girls with their earphones in the streets or on city transport. Music is flowing from their eyes and it is not necessary to get near in order to hear every note perfectly – which reaches everyone and defeats pain, loneliness, a bad mood, hunger and violence.

I would like children to sing from their hearts – such songs will always find an addressee.



Malca Lolokoneni



ლენინი და პავლეკი

– მამი, მამი?! რამდენი თავი ჰქონდა ლენინს?! - ჰკითხა, გაკვირვებულმა ჩემმა მეგობარმა, მამამისს.

ძალიან გაუკვირდა და რა ექნა. ჩვენს ბავშვობაში ხომ ყველგან ბელადის თავი იყო გამოსახული - სახელმძღვანელოებზე, ფულზე, დროშებზე, ჟურნალ-გაზეთებზე, კაბინეტებში, სტენდებზე, შენობებზე, ვეხსალაგებზეც კი.

დღემდე მგონია, რომ ამ სიმახინჯისგან თუ რამემ გვიხსნა, იუმორი იყო. განსაკუთრებით ბავშვების უცაბედი, გულუბრყვილო, გულწრფელი იუმორი დაგვეხმარა.

ერთხელ, მამაჩემმა ზოოპარკში სეირნობისას მითხრა:

– როცა მოგწყინდება, მითხარი და სახლში წავიდე.

– რო მომწყინება, როგორ იქნება?! - ვუპასუხე დაბნეულმა.

ბავშვები ხომ არასდროს იწყენენ. მათთვის ყველაფერი ფერადია და მხოლოდ სიხარულს, შეუცნობელ ბედნიერებას ესწრაფვიან. ჩვენგანაც არაფერი უნდათ, არაფერს ითხოვენ, სულ არაფერს. უბრალოდ... ბავშვობას ნუ წავართმევთ.



გაგა სახეცრიჭკილი



Lenin and Children

“Daddy, Daddy?! How many heads did Lenin have?!” – my surprised friend asked his father.

What could he do? He was very surprised. In our childhood, the Leader’s head was depicted everywhere – textbooks, banknotes, flags, magazines, office walls, buildings, even toilets.

I still believe that we managed to withstand this hideousness thanks to humor, especially the unexpected, naïve and frank humor of children.

Once when we were walking in the zoo, my father told me:

“Tell me when get bored and we will go home.”

“What will it be like when I get bored?!” – I asked confused.

Children never get bored. For them everything is colorful and they only aspire to joy and implicit happiness. They do not want anything from us either, they do not ask us for anything, absolutely not. The only thing is – let’s not deprive them of their childhood.



Gaga Naldntsrishvili



ალბათ ბევრს გვყოლია შეყვარებული, მეორე ნახევარი, ადამიანი, რომლის გამოც სიცოცხლე ზღაპრულად მიგვაჩნდა. ადამიანი, რომელიც ღმერთს გავდა.

ვყოფილვართ ისეთი ბედნიერი, რომ გვეგონა, არასდროს მოვკვდებით.

მერე, ალბათ, რაღაც მომხდარა, რაღაც შეცვლილა და ბედნიერების ნაცვლად უსაზღვრო სიმარტოვე და შიშიც გვიგრძენია.

ჩვენ, დიდ ბავშვებს.

მათ, პატარა ბავშვებსაც ჰყავთ ასეთი სატროფოები. ისინი, ვინც საოცარი ძალით განაპირობებენ მათ სიხარულს და მწუხარებას.

ჩვენ - დედები, მამები, ბებიები და ბაბუები ვართ მათი უპირველესი და განუმეორებელი შეყვარებულები, მათი ღვთაებები, მათი მეორე ნახევრები და პირველი ნახევრებიც.

ხო, პირველიც, რადგან ჯერ ჩვენ გაგვიცნეს, ვიდრე საკუთარ თავს გაიცნობდნენ.

ბავშვობიდან კარგად მახსოვს ამ შეგრძნებების სიმძაფრე. მახსოვს, ისინი არაფრით ჩამოუვარდებოდა დიდობისდროინდელ განცდებს.

სულ მინდა, ჩვენ, დიდ ბავშვებს, უპირობოდ გვიყვარდეს ისინი, ჩვენში შეყვარებული ჯერ კიდევ პატარა ბავშვები.

უპირობოდ, რომ მათ საკუთარი თავის სიყვარულიც შეძლონ.

სალომე მახარაძე



Probably many of us had sweethearts, lovers, spouses, our “second halves” – the person because of whom we felt that our life was a fairy tale; the person who seemed to be a god.

We were so happy that we thought we would never die.

Then something probably happened, something changed and the happiness was substituted with endless loneliness and fear; for us, big children. Little children also have their beloved ones; those who very strongly influence their joy and sorrow. We – mothers, fathers, grandmothers and grandfathers are their first and unique sweethearts, their gods, their “second halves” and even the first halves.

Yes, even the first halves, because first they got to know us even before they got to know themselves.

I remember how intense these feelings were in childhood; they were no weaker than the feelings in adulthood.

I have always wanted for us, big children, to be able to love unconditionally the little kids who are in love with us.

Unconditionally, so that they can love their own selves.



Salome Malcaridze



* * *

ყველა იმ ბავშვის თვალეში, რომლებსაც შიათ, რომლებსაც ნყურიათ, რომლებსაც სცივათ, რომლებსაც ტკივათ... ყველა იმ ბავშვის თვალეში, რომლებსაც ომი ბავშვობას, როგორც საყვარელ და გულზემიკრულ სათამოშოს, ხელიდან გლეჯს დაუნდობლად, ვჩანვართ მხოლოდ ჩვენ - დიდები. და რა კარგი იქნება, ერთ დღეს ისე დავპატარავდეთ, რომ მათ თვალეში მხიარული ჩიტების და მზისა და ცის ადგილიც გაჩნდეს.



ღელა წუცქირიძე





The eyes of all children who are hungry, thirsty and cold or in pain... the eyes of all children who are mercilessly deprived of their childhood and their favorite toys by war – reflect only us – adults. And it would be so good if one day we become so small that there is enough space left in children's eyes to reflect cheerful birds, the sun and the sky.



Lela Tsintsiskiridze





* * *

როცა პატარა ვიყავი და მშობლებიც ჯერ კიდევ მყავდა, ერთ-ერთ ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლში შეხვედრა მომიწყვეს. შეხვედრისას ერთმა იქაურმა გოგონამ მოულოდნელი შეკითხვა დამისვა: მენ იცხოვრებდი ჩვენნაირ სახლში? შეხვედრაზე უფროსი და მახლდა და დღემდე მახსოვს მისი დაძაბული და აფორიაქებული მზერა, ვიდრე იმ გოგონას პასუხი გავეცი: რატომაც არა! რითია თქვენი სახლი ცუდი! ერთმანეთი ხომ გყავთ და მთავარი ეს არის-მეთქი. იმ შეხვედრიდან სულ ცოტა ხანში ყველაფერი ისე აენწყო, რომ უდედმამოდ დავრჩი და ჩემზე ზრუნვა, ძირითადად, სწორედ იმ ჩემს უფროს დას მოუწია, შეხვედრიდან წამოსულს რომ მკოცნიდა და ტიროდა: რა კარგი ბიჭი ხარ, ჩემო გულიანო, რომ იმ ბავშვს გული არ მოუკალიო.

ყველა ბავშვისათვის იმას ვისურვებ, რასაც ჩემივე შვილებისთვის. სულაც არ არის ეს პათეტიკური ნათქვამი. ყველა ბავშვი, სულ მცირე, იმას იმსახურებს, რომ გვერდით ჰყავდეს დედა და მამა, არ შიოდეს, არ სციოდეს, ჰქონდეს ჰარმონიული განვითარების საშუალება. ვნერ ამას და თვალწინ მიდგანან ბავშვები ახლო აღმოსავლეთიდან, ბავშვები, რომლებსაც ომმა წააართვა ყველაფერი, ბავშვები, რომლებიც დიდების ამბიციებს შეენირნენ...



და რამდენი ბავშვი... სწორედ ამიტომ მინდოდა, სულ პატარაობიდანვე მესწავლებინა ჩემი შვილებისათვის, რომ არასოდეს დავინწყებოდათ: როცა თვითონ ჭამდნენ, სადღაც მათ თანატოლს შიოდა, სულერთია, მსოფლიოს რომელ კუთხეში და ამით ჩემი შვილების დაკომპლექსება კი არ მსურდა, მინდოდა მათში თანალმობის, სოლიდარობის განცდაც გამეღვივებინა დაჩაგრულისადმი და მადლიერების შეგრძნებაც სამყაროსა თუ ღმერთისადმი...

დაბოლოს, თუ მაინც მოხდა არასასურველი და ვინმე დარჩა ობლად, ისე, როგორც მე ცამეტი წლის ასაკში, მაშინ ვუსურვებ, ყველას ჰყავდეს გვერდით ჩემი დებივით თავგანწირული უფროსი და-ძმები...



გიორგი ლომჯუანიძე



* * *

When I was little and my parents were still alive, I was invited to one of the institutions for orphans and children without parental care. At the meeting, one of the girls suddenly asked me: "Would you live in a house like ours?" I was accompanied by an elder sister and I still remember her tense and concerned glance as I responded to that girl: "Why not?! There's nothing bad about it. You've got each other and that's what matters." It happened that soon after that meeting, I lost my parents and mainly it was my elder sister who had to take care of me. This was the very sister who after that meeting in the institution kissed me and cried: "What a nice boy you are, my dear, because you didn't hurt the feelings of that child."

I wish for every child the same that I wish for my own kids. And this is not just a pathetic statement. Every child deserves, at least, to have a mother and a father, not to be hungry or cold, to have a chance for a harmonious development.



I write these words and children from the Middle East come to my mind; children who have lost everything to war, children who have been the victims of the ambitions of adults... and so many children.... That's why I wanted to teach my kids from a very early age never to forget that: when they have meals, somewhere their peers are hungry, no matter in what part of the world. Not that I wanted them to feel guilty but, rather, to make them have compassion for and solidarity with those who suffer and feel grateful to the world or God...

And still, if undesirable things happen and somebody is orphaned like I was at the age of 13, I wish for that child to have devoted siblings like my sisters were to me.



Giorgi Lobzhanidze



* * *

გინახავთ, როგორ ტირის შიშისგან ბავშვი? რა თქმა უნდა, ნანახი გექნებათ - იქნებ, თქვენც შეგიშინებიათ, როცა რალაცის გამო ხმამაღლა დაუყვირებთ...

გინახავთ, ომის საშინელებისგან მეტყველებადაკარგული ბავშვის გაფართოებული თვალები? რა თქმა უნდა, ნანახი გექნებათ - ჩვენს გვერდით თუ არა, ტელეეკრანიდან, ინტერნეტიდან მაინც...

გინახავთ, შიმშილისგან ან ავადმყოფობისგან დაუძლურებული ბავშვის მოცახცახე ხელი? რა თქმა უნდა, ნანახი გექნებათ - ისინი ხომ ყველა ქვეყანაში ბევრი არიან...

მე ვისურვებ, რომ არსად ტიროდნენ ბავშვები შიშისგან და ჩაგვრისგან, არსად იხოცებოდნენ ბავშვები ომისგან და ძალადობისგან, არსად შიმშილობდნენ ბავშვები და თითოეულის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, სიცოცხლეზე ვზრუნავდეთ ჩვენ, უფროსები, რომლებსაც ხშირად გვავინყდება, რომ ოდესღაც ჩვენც ბავშვები ვიყავით!



კასილ გულეური



* * *

Have you seen a child crying in fear? Of course you have – maybe you scared the child while scolding him for something...

Have you seen the wide eyes of a child speechless because of war atrocities? Of course you have – if not in real life, at least on TV or on the internet...

Have you seen a shaking hand of a child weakened by hunger or illness? Of course you have – there are many such children in every country...

I wish children never had to cry because of hunger or abuse. I wish children did not die because of wars and violence. I wish children never starved and we, adults, who often forget that we were also children once, took care of each child's health, education and life!



Vasil Gulevri



* * *

ბიჭი კლასში იყო, ქართულის გაკვეთილზე, ძალიან უნდოდა მაგიდის ქვეშ ჯდომა, ანდა კლასში იმ რიტმით სიარული, როგორც მასწავლებელი ტექსტს კითხულობდა, ან ფანჯარაში გადახედვა, იქნებ გარეთ მანქანები ათვალეიროს და ყოველი ლურჯი მანქანა გულში დათვალოს, მერე ფეხისგულებზე ჭიანჭველები დაესივნენ და ფეხსაცმლის გახდა მოუნდა, მერე ძალიან დააინტერესა წინ მჯდარი გოგონას ქურთუკმა, რალაცნაირი, ხაოიანი ნაჭერი იყო, ნეტავ როგორია? მერე სიმღერა მოუნდა, მერე ფანჯრის დაორთქლილ მინაზე თავისი, დედამისის და მამამისის სახელების დანერა.

მერე რიგ-რიგობით ყველაფერი გააკეთა, რაც სურდა, უხმაუროდ არ გამოვიდოდა, შენიშვნაც მიიღო, მაგრამ არავის უჩხუბია. შუალედებში მასწავლებლის ხმასაც უსმენდა, ხმა ჰქონდა ტკბილი და ნოტიო, შოკოლადიანი რძესავით, თვალები-თბილი, თუ გაბედავდა და თვალებში შეხედავდა, ბიჭს არ უყვარდა თვალებში ყურება. სამაგიეროდ, უყვარდა ყველაფერი, რასაც ისმენდა და კლასელებთან ერთად რთულ სავარჯიშოებზე პასუხის გაცემა.

დღეს ეს ბიჭი დიდია, ძალიან ჭკვიანი და ფიქრიანი, ჭიანჭველები უკან მოიტოვა, მასწავლებლის თვალები - ისევ ახსოვს.

მისით ყველა ამაყოფს.

შედეგიანი ინკლუზიური განათლების სისტემა ყველა ბავშვს, ვისაც ეს სჭირდება!

ღიანა ანჰიძიძი



A boy was in a classroom, attending a lesson in Georgian language and literature. He very much wanted to sit under the table or walk into the classroom in the same rhythm as the teacher was reading a text or look out the window, watch the cars and count the blue ones. Then he felt ants crawling inside his shoes and he wanted to take them off. Then he was distracted by the jacket of the girl sitting in front of him – the fabric was coarse and he was thinking about it. Then he wanted to sing. Then he wanted to breathe on the window and write his name and his parents' names in the steam.

Then he did everything he wanted, one by one; but he could not do this without making noise and so he was reprimanded although nobody really scolded him. In between, he also listened to the teacher's voice; it was sweet and soft like milk with chocolate. Her eyes were warm – if the boy dared to look directly into her eyes – he did not like looking into someone's eyes. But he liked to listen and take difficult tests.

Today, the boy has grown up. He is very clever and thoughtful; the ants are in the past. But he still remembers the teacher's eyes. Everybody is proud of him.

An effective inclusive education system for all children who need it!



Diana Anfimiadi



* * *

ბავშვი დაიბადა.

ბავშვმა დაინახა დედა, მამა, მზე, ღრუბელი, წვიმა,
ცისარტყელა და გაიღიმა.

ბავშვს უხარია, რომ თენდება, ღამდება და ისევ თენდება
დაუსრულებლად.

ბავშვის დღე შედგება თამაშისგან, ბევრი თამაშისგან,
სკოლაში სიარულისგან, მეცადინეობისგან და ისევ
თამაშისგან.

ბავშვით ხარობენ დედა, მამა, ნათესავები, მასწავლებლები...

ბავშვად ვერაფერს დარჩება, ყველა გაიზრდება.

ბავშვო, მალე დიდი იქნები, მაგრამ არასოდეს დაივიწყო,
რომ ბავშვი იყავი და ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ
ბავშვების ცხოვრების აღწერაში არ იყოს ადგილი ისეთი
სიტყვებისთვის, როგორებიცაა: ომი, შიმშილი, ობლობა,
სიცივე, უნიგნურობა, ჩაგვრა.



ღამო ქარაჯა - ჯიმპერ რეხვიანკილი



A child was born.

The child saw Mother, Father, the Sun, Clouds, rain, rainbow and smiled.

The child is happy that the Sun rises and sets, and rises again on end.

The child's day consists of playing, a lot of playing, going to school, studying, and more playing.

The child brings happiness to Mother, Father, relatives, teachers....

No one can remain a child forever, everyone will grow up.

Child, you will soon be an adult, so never forget that you were a child and do your best to make sure that the words like war, hunger, orphan, cold, illiteracy, abuse do not relate to children's lives.



Dato Kardava - Jimsheer Relchvriashvili



* * *

- დე, რო გავიზრდები, მინდა ასტრონავტი გავხდე.
- რა თქვი საყვარელო?
- ასტრონავტი უნდა გამოვიდე.
- რატომ?
- მინდა მარსზე გავემგზავრო.
- მარსზე? არ ვიცოდი თუ პლანეტას შოკოლადის სახელი ერქვა.
- ...
- კარგი მშობელი ყველა ბავშვს!



ჩაჩა კოჭკაძე



* * *

- Mom, when I grow up I want to become an astronaut.
 - What did you say, sweetheart?
 - I will become an astronaut.
 - Why?
 - I want to fly to Mars.
 - To Mars? I had no idea that a planet was named after a chocolate brand.
 - ...
- A good parent to every child!



Zaza Koshkadze



* * *

ბავშვები დედამინის ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი, გულწრფელი, კეთილი, თავისუფალი და მოსიყვარულე რასაა! ბავშვებისგან უნდა ვისწავლოთ ზრდასრულებმა, რომ გვჯეროდეს სასწაულის, გვიყვარდეს თამაში, გვსურდეს გაზრდა, გვესმოდეს ყველას ენა ჩიტებიდან თოვლის პაპამდე, არ ვიომოთ, არ მოვკლათ, არ მოვწამლოთ, არ წავართვათ სახლი სხვებს. გვექონდეს ერთი საკუთარი სარწყავი ყვავილებისთვის და ხეებისთვის, საყვარელი წიგნი, საკუთარი ყულაბა და მაღალი კიბე ცისთვის. რა იცი როდის და რა დასჭირდებათ უფროსებს, ხომ უნდა შევძლოთ დახმარება...



მარია მცხელაური



* * *

Children are the most beautiful, clever, honest, kind, free and loving race in the world! We adults must learn from children to believe in miracles, enjoy playing, wish to grow up, understand the language of the birds, believe in Santa Claus, not to make wars or poison, not to deprive other people of their homes, have our own watering pots for flowers and trees, our favorite book, our own money box and a tall ladder to reach the sky. You never know when adults may need what – we must be able to help them...



Mariam Tsildanri



* * *

ბავშვობა დიდებისთვის გაუგებარ სიხარულებს ნიშნავს. ჩვენ სხვანაირი ბავშვობა გვექონდა. სხვისას არ ჰგავდა. არც გამხმარ პურს ვჭამდით და არც შოკოლადის კარაქიანს. არ იყო ეს უკიდურესი სიღარიბე და რა გასაკვირია, რომ არც სიმდიდრე არ იყო. არც მწუხარება და არც სიხარული. არც ტყვეობა და არც თავისუფლება. სადღაც შუაში გაჩხერილები ვიდექით მამიდაშვილების გამონაცვალი შარვლებით, შარვლებში ნაკლეიკებით და რუმინეთიდან, ბიცოლაჩვენის ჩამოტანილ რეზინებს ვღეჭავდით. და ვბერავდით. მაგრამ, ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ამოვარდნა გვეგულობოდა იმ დროს - საზაფხულო არდადეგები. განა რამე იცვლებოდა კალენდარში რიცხვების გარდა. იგივე ხიდი იდგა და მდინარეში იგივე ხიდიდან ვხტებოდით. იგივე მდინარე ჩამოდოდა. იგივე ლობეები და იგივე ლოგინები და იგივე სიზმრები. და წვიმის ხმა ოჭვათოში - ძალიან იგივე.



მაგრამ ზაფხულის არდადეგებს მაინც საგანგებო სუნთქვით ვხვდებოდით, რადგან ეს შეუმჩნეველი ოცნება იყო ნამდვილ არდადეგებზე. მოგზაურობებით და თავგადასვლებით სავსე არდადეგებზე. სიახლეებით და გაკვირვებით სავსე არდადეგებზე. და გვიხაროდა, რადგან ვიცოდით ან უფრო ზუსტად: ვგრძნობდით, რომ ზაფხულის არდადეგები გულისხმობდა სხვა ამბებს, რომელიც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ვერასოდეს მომხდებოდა. ამ უცხო ტვირთით მოვედით ჩვენ. სხვა ვერ გაიგებს ამ სიმძიმეს და სიმსუბუქეს. გაუგებარ სიხარულს. შეიძლება ბოლომდე ჩვენც ვერ გავიგოთ ჩვენი ნელ-თბილი ბავშვობა, დიდი ამოვარდნით, დიდი სიცხით - საზაფხულო არდადეგებით. ბავშვობაც ეს არდადეგებია. მერე დიდი და დაუსრულებული „საქმე“ იწყება. ამ არდადეგების უსაქმოდ გატარებას გისურვებთ ბავშვებო.)



გიორგი უჯველიძე



* * *

Childhood means certain joys that adults cannot understand. We had a different childhood, not like others. We did not have to eat old bread but we did not have chocolate butter either. We were not extremely poor, not surprisingly, we were not rich either. There was neither grief nor joy, neither captivity nor freedom. We were somewhere in the middle. We wore trousers which our cousins had outgrown and enjoyed chewing gum brought by our aunt from Romania. But there was one long drop-out period which was different – summer vacations. Actually nothing changed except the calendar days. We used to jump from the same bridge into the same river. The fences, beds and dreams were also the same. And the sound of rain drops in the furrow – the very same. But we still enjoyed the summer vacations in a special mood because this was an imperceptible dream about real holidays with travelling and adventures; vacations full of novelties and surprises.



And we were happy because we knew – or more precisely – we felt that summer vacations meant something different which could happen but would never happen. We grew up with this unusual burden. Others will not be able to understand its heaviness and its lightness. Incomprehensible joy. Maybe we cannot even fully understand our lukewarm childhood with long and very hot drop-out periods – summer vacations. Childhood is also a vacation after which long and endless work starts. I wish for you children to spend these vacations without work.



Giorgi Kelchidze



* * *

ის რვეული არასოდეს დამავინცდება. ჩემი პირველი საშინაო დავალებების რვეული. ვერაფრით მივხვდი, რამხელა ასოებით უნდა მენერა იმ უცნაურ ხაზებში. დავნერე, გადავშალე. და ზემოდან გადავანერე ხელახლა.

დამეჯღაბნა. ვერაფერი მოეუხერხე. ჩემმა მასწავლებელმა, რომლისაც მეშინოდა ისე, როგორც სიკვდილის, ლამაზი ხელით გამოიყვანა სამიანი. ფრჩხილებში მიუწერა: დამაკმაყოფილებელი.

რამდენიმე დღე ვმაღავდი რვეულს. ბოლოს მაინც იპოვა დედაჩემმა.

მიყვრა. და მითხრა, რომ ეს სირცხვილია. რომ რცხვენია ჩემ გამო. და აღარასოდეს უნდა მიიღოს მისმა შვილმა სამიანი. მე აღარასოდეს მიმიღია სამიანი.



მერე ვიზრდებოდი და თანდათან ვსწავლობდი: ისეთი უნდა გავიზარდო, როგორიც საჭიროა. რომ ჩემი რვეულის, ჩემი სირცხვილების დამალვა აღარ უნდა დამჭირდეს. და უნდა ვიყო დამაკმაყოფილებელი კი არა, დამაკმაყოფილებელზე მეტი - კარგი, ფრიადი. რომ ყოველთვის არსებობს ჩემს თავზე ჩამოკიდებული რალაც შემაფასებელი რიცხვი, სულ სხვადასხვა ფორმის, უხილავი რიცხვი - ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს, ვეყვარები თუ არა, ღირსი ვარ თუ არა, ღირდა თუ არა ჩემი დაბადება; ნიშანი, ვილაც სხვების მიერ დადგენილი, რომელმაც ჯოჯოხეთად აქცია მთელი ჩემი შემდეგი ცხოვრება.

მინდა ყველა ბავშვმა იცოდეს, რომ არ არის ნივთი, აქსესუარი; რომ თავისთავად მშვენიერია, განუმეორებელი; და მისია სიცოცხლე, აქვს უფლება, იცხოვროს ისეთმა, როგორიც არის. და არ არის საჭირო, ამტკიცებდე, რომ სიყვარულის ღირსი ხარ. სამყარო, რომელშიც დაიბადე, ისევე გეკუთვნის შენ, როგორც ყველას. და გაქვს ერთი, ყველაზე მთავარი უფლება - იყო თავისუფალი.



ლია ლიქოკელი



* * *

I will never forget that notebook, my first notebook for homework. I could not understand what size the letters should be inside those strange lines. I wrote, then crossed out and wrote again over the crossed out letters.

It was scribble. I could not do anything. My teacher, of whom I was afraid like death, gave me a beautifully written mark of 3. In brackets she wrote “satisfactory.” I was hiding the notebook for several days. Finally my mother found it anyway and scolded me. She said it was a shame, that she was ashamed because of me and that her daughter must never receive a satisfactory mark again.

I have never received a 3 ever since.



I was growing up and learning: I must grow up and become a proper person. I should never need to hide my notebook, my shame. And I must not be “satisfactory” but more than “satisfactory” – good, excellent – so that there always is an assessment mark hanging over my head – a mark of different shapes, always invisible which would determine whether I am loved or not, deserving or not, whether my birth was worth it; a mark defined by others which turned my whole life into hell.

I would like every child to know: you are not things or accessories. You are wonderful and unique and life is yours. You have the right to live and be who you are and there is no need to prove that you deserve love. The world into which you were born belongs to you in the same way as it does to everyone else. And you have one most important right – to be free.



Lia Lilololeli



ეგეთი ჩვევა აქვს - როცა ვინმე მტრად აეჯავრება და ცუდ საქმეს დაუპირებს, ან როცა ვინმეს, მის გარშემო სიყვარული ჩაებუთება ჩასაქრობად განწირული ბუხრის ცეცხლივით, ან როცა ჩვენ ყველანი ვინმეს ერთ ხმაში ლანძღვას ვინცებთ და უპირობო არგუმენტებით ვამყარებთ მის ღორობას (ადამიანის საპირისპირო არაადამიანს ვგულისხმობთ ხოლმე ამ სიტყვაში), - დახუჭავს თვალებს, ერთი წუთით გააჩუმებს გარშემო ყველას და ყველაფერს და, იმ დახუჭული თვალების ეკრანზე წარმოიდგენს იმ მტერს თუ ღორს თუ არაადამიანს ბავშვად, როგორი ბავშვიც ის შეიძლებოდა ყოფილიყო, დეტალურად, ფოტოგრაფიული სიზუსტით, უფრო მეტიც - ძველი ფოტოსთვის დამახასიათებელი მსუბუქი ბუნდით გაცრეცილ არშიებზე... მერე ამ წარმოდგენილ ბავშვს დაასკუპებს ჩვენს წინ, გაშლის ხელებს და ალაღად ამბობს: შეხედეთ ბატონებო, რა საყვარელია!..

ამ დროს შეიძლება თვალის ვერ გაუსწორო ვერც მას და ვერც ბავშვს, ისეთი ნამდვილი და შუქით სავსეა ორივე!..

ის ჩემი მასწავლებელია, დიდი ბავშვი, რომელმაც უამრავს გვასწავლა, ერთმანეთში ბავშვებს რაც შეიძლება დიდხანს ვხედავდეთ!



ნინო სარლოპელაძევილი



* * *

He has a habit – when someone starts acting like his enemy or plans something bad or when someone’s love fades away like a fire dying out in a fireplace or when we start criticizing someone and use definitive arguments to prove that the person is a pig (we use this term to indicate something opposite to a human) – he closes his eyes, stops everyone for a minute and imagines this enemy, a pig or an inhuman person, as a child that he might be, in detail, with photographic accuracy and even more so – like old photos with dark, worn out and vague borders... then he places this child in front of us, spreads his hands and says directly: Look how lovely he is!..

At this time you might not even be able to look into his or the child’s eyes because they both are so real and full of light!..

He is my teacher, a big child who has taught many of us to see the children in each other for the longest possible time!



Nino Sadgobelashvili



ამ ბარათს საკუთარ თავს ვწერ და თქვენ გიგზავნით. არსებობს ჯადოსნური სიტყვა - მომავალი. მისი წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია. მას თქვენი თვალეები აქვს. მე თვალს ხშირად გარიდებთ, რადგან მრცხვენია, რომ შევეჩვიე, ჩემს ყოველდღიურობად იქცა თქვენთვის წართმეული სიცოცხლის უფლება და თავისუფლება. გამოგიტყდებით, ცხელ გულზე თქვენი ჯოჯოხეთი ხდება ჩვენი ლექსებისა და მოთხრობების ინსპირაცია. ამ გზავნილით სირცხვილს ვერ ჩამოვირეცხავთ, მაგრამ მჯერა სიტყვის ძალისა და სამყაროს უკეთესი მომავლის სურვილის. მომავლის, რომელიც, თუ ბავშვის თვალეები არ ექნა, განწირულია!



ნათ თხოროყვა



* * *

I'm writing this message for myself, but am sending it to you. There is a magic word – future. It's hardly possible to foretell it. It has your eyes. I often avoid your glance because I'm ashamed that I've got used to your deprived rights to life and freedom, find them a usual thing. I should admit that your nightmare, when it's still very fresh, often serves as inspiration for our poems and stories. This message cannot relieve us from the shame but I believe in the power of the word and the striving for better future – the future, which unless seen with child's eyes, is doomed to failure.



Nato Ingorokva

